ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომა

17 თებერვალი 2006 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №4/8, ბ. №6

სხდომის დაწყების დრო: 19:00 სთ.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:
კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), დავით ლანჩავა, ზაზა ხატიაშვილი, როინ მიგრიაული, ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე, ზურაბ ტაბიძე

სხდომის თავმჯდომარე: კახა ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ნიმუშის დამტკიცება;
2. საკვალიფიკაციო კომისიის დებულებისა და ადვოკატთა ტესტირების ჩატარების წესის დამტკიცება;
3. საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა არჩევა;

სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო საადვოკატო უფლების დამადასტურებელი მოწმობის ნიმუშის მხოლოდ ერთი, შესწორებული ვარიანტი. ადვოკატის მოწმობის ნიმუშთან დაკავშირებით, რაიმე განსხვავებული აზრი აღმასრულებელი საბჭოს წევრების მხრიდან არ გამოთქმულა.

მეორე საკითხად განხილულ იქნა საკვალიფიკაციო კომისიის დებულებისა და ადვოკატთა ტესტირების ჩატარების წესის პროექტები, აღნიშნულთან დაკავშირებით აზრთა სხვაობა არ ყოფილა, რადგან საბჭოს წევრებს წინასწარ ქონდათ საშუალება გაცნობოდნენ მასალებს და წარმოედგინათ თავისი მოსაზრებები.

გ ა დ ა წ ყ დ ა:

1. დამტკიცდა სხდომაზე წარმოდგენილი საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ნიმუში;
2. დამტკიცდა საკვალიფიკაციო კომისიის დებულებისა და ადვოკატთა ტესტირების ჩატარების წესი;
3. საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა არჩევა გადაიდო ადვოკატთა ტესტირების ჩატარებამდე არაუგვიანეს ათი დღისა;

ასოციაციის სიმბოლიკის დამტკიცების საკითხის განხილვა გადაიდო აღმასრულებელი საბჭოს შემდგომი სხდომისთვის.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ: კ. ასლანიშვილი (თავმჯდომარე), დ. ლანჩავა, ზ. ხატიაშვილი, რ. მიგრიაული, ზ. კორძაძე, გ. სვანიძე, ზ. ტაბიძე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გადაწყდა ერთხმად, ღია კენჭისყრით

კახაბერ ასლანიშვილი
ასოციაციის თავმჯდომარე